ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3086306

ნომერი: AR1476630

თარიღი : 07.02.2017

გაცემის თარიღი : 07.02.2017

გაცნობის თარიღი : 07.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წყალტუბო , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ,,ბონა დეა და კომპანია" კოდი: 404998320

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 იანვრის №3029489 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 07 თებერვლის №AR1476630 განცხადებით მომართა პაატა ნუცუბიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 04 იანვრის №3029489 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 04 იანვრის №3029489 ბრძანებით დაკმაყოფილდა №AR1454284 ელექტრონული განაცხადი და შეთანხმდა ქ. თბილისში, წყალტუბოს ქუჩა №24-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.04.020.043) მრავალფუნქციური კომპლექსის "ბ" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. თუმცა, აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ნაცვლად „ბ“ ბლოკისა მითითებულია „ა“ ბლოკი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 იანვრის №3029489 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ნაცვლად „ა“ ბლოკისა დაფიქსირდეს „ბ“ ბლოკი. სამსახურის 2017 წლის 04 იანვრის №3029489 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 იანვრის №3029489 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.